როგორ შეუძლიათ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს თანამშრომლობა ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტთან ევროპის სოციალური ქარტიის მონიტორინგის პროცედურათა ფარგლებში

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

როგორ შეუძლიათ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს თანამშრომლობა ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტთან ევროპის სოციალური ქარტიის მონიტორინგის პროცედურათა ფარგლებში

დოქტორი კლერ ლუგარი,
საუთჰემპტონის უნივერსიტეტის ლექტორი
საუთჰემპტონის სამართლის სკოლა
გაერთიანებული სამეფო

ევროპის საბჭო

ინგლისურენოვანი გამოცემა:
How can (I)NGOs engage with the European Committee of Social Rights under the monitoring procedures of the European Social Charter

ამ ნაშრომში მოსაზრებები გამოთქმულია ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობით და არ უნდა აღვიქვათ ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკად.

ამონარიდების რეპროდუცირება (500-მდე სიტყვა) ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებით, იმ პირობით, რომ დაცული იქნება ტექსტის მთლიანობა, ამონარიდი არ გამოიყენება კონტექსტიდან მოწყვეტილად, არ წარმოგვიდგენს არასრულ ინფორმაციას, ან სხვაგვარად არ შეიყვანს მკითხველს შეცდომაში ტექსტის ბუნებასთან, ფარგლებსა ან შინაარსთან მიმართებით. წყარო ტექსტი ყოველთვის უნდა მიეთითოს შემდეგნაირად: „© ევროპის საბჭო, პუბლიკაციის წელი“. ყველა სხვა თხოვნა დოკუმენტის მთლიანად ან ნაწილობრივ გამოქვეყნებაზე/ თარგმნაზე უნდა წარედგინოს ევროპის საბჭოს კომუნიკაციის დირექტორატს (F-67075 სტრასბურგი Cedex ან publishing@coe.int). ყველა სხვა კორესპონდენცია დოკუმენტთან დაკავშირებით უნდა წარედგინოს სოციალური უფლებების დეპარტამენტს, DGI, ევროპის საბჭო, F-67075 სტრასბურგი Cedex ან social.charter@coe.int.

ყდა და დიზაინი: დოკუმენტების წარმოებისა და პუბლიკაციების დეპარტამენტი (SPDP), ევროპის საბჭო,

ფოტო: Shutterstock.

წინამდებარე პუბლიკაციას არ გაუვლია რედაქტირება SPDP-ის სარედაქციო განყოფილებაში, ტიპოგრაფიული ან გრამატიკული შეცდომების გასასწორებლად.

პუბლიკაციის თარგმანი შესრულებულია ევროპის საბჭოს პროექტის „სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში.

© ევროპის საბჭო, 2022 წლის მაისი.

დაგვიკავშირდით:

სოციალური უფლებების დეპარტამენტი

ადამიანის უფლებათა და სამართლის უზენაესობის დეპარტამენტი

Council of Europe

1 quai Jacoutot, F-67075 ,

Strasbourg Cedex

ელფოსტა: social.charter@coe.int

სარჩევი

შესავალი **5**

- რა არის ევროპის სოციალური ქარტია? 5
- ორი ხელშეკრულება 5
- სახელმწიფოზე მორგებული სისტემა 6
- როგორ ხორციელდება ზედამხედველობა ევროპის სოციალური ქარტიის შესრულებაზე? 6
- ქარტიით გათვალისწინებულ უფლებათა მიმოხილვა 7

კოლექტიური საჩივრების პროცედურა **8**

- რას არის კოლექტიური საჩივრების პროცედურა? 8
- რომელ ორგანიზაციებს შეუძლიათ საჩივრების წარდგენა ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტში? 9
- როგორ წარადგენს (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაცია საჩივარს კომიტეტში? 10
- როგორ მუშაობს კოლექტიური საჩივრების პროცედურა? 11
- როგორ წარადგენს ორგანიზაცია საკუთარ მოსაზრებებს სხვა ორგანიზაციის მიერ აღძრულ კოლექტიურ საჩივარზე? 12
- სად ინახება ინფორმაცია წინა კოლექტიურ საჩივრებზე? 13

ევროპის სოციალური ქარტიის ანგარიშგების პროცედურა **15**

- რა არის ანგარიშგების პროცედურა? 15
- როგორ წარადგენს (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაცია დამატებით ინფორმაციას? 16
- როგორ წარიმართება ანგარიშგების პროცესი? 16
- სად ინახება ანგარიშგებასთან დაკავშირებული დოკუმენტები? 19

შესავალი

რა არის ევროპის სოციალური ქარტია?

ევროპის სოციალური ქარტია საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც იცავს სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს, როგორიცაა პროფკავშირთა, შრომის, სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობისა ან დაბინავების უფლებები.

ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობამ (47 ქვეყნიდან 43-მა) გამოხატა ფორმალური თანხმობა ქარტიის ძალაში შესვლაზე და მოახდინა მისი რატიფიკაცია. რატიფიცირებით სახელმწიფოები გახდნენ ქარტიის „მხარეები“. შესაბამისად, ხელშეკრულებით დაცულ უფლებათა განხორციელება მათი სამართლებრივი მოვალეობაა.

ორი ხელშეკრულება

ამჟამად ერთდროულად არსებობს ევროპის სოციალური ქარტიის ორი ვერსია: თავდაპირველი (მიღებული 1961 წელს) და შესწორებული (მიღებული 1996 წელს). ეს უკანასკნელი მეტ უფლებას შეიცავს და ახლებურად აყალიბებს თავდაპირველი ვერსიით გათვალისწინებულ რამდენიმე უფლებას. შესწორებული ქარტია თანდათანობით ჩაანაცვლებს 1961 წლის ქარტიას. სახელმწიფოებს შეუძლიათ, იყვნენ ან ერთი, ან მეორე (თუმცა არა ორივე) ვერსიის მხარეები. წევრი ქვეყნების უმრავლესობას (43-დან 34-ს) რატიფიცირებული აქვს ევროპის სოციალური ქარტიის შესწორებული ვერსია. შესწორებული ქარტიის რატიფიცირებისას, სახელმწიფოსთვის შესასრულებლად სავალდებულო ხდება დებულებები, რომლებიც შეესაბამება მის მიერ 1961 წლის ქარტიით აღიარებულ დებულებებს.

შესაბამისად, როდესაც განიხილავენ ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტთან თანამშრომლობის შესაძლებლობას, (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციებმა პირველ რიგში უნდა გადაამოწმონ, ქარტიის რომელი ვერსიაა რატიფიცირებული შესაბამის მხარე სახელმწიფოში (მხოლოდ ხელმოწერა არ კმარა). ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე. მათ ასევე უნდა გადაამოწმონ, ქარტიის რომელ დებულებებს აღიარებს მხარე სახელმწიფო (იხ. ქვემოთ).

სახელმწიფოზე მორგებული სისტემა

ქარტია ეფუძნება რატიფიკაციის à la carte სისტემას. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს შეუძლიათ, აირჩიონ დებულებები, რომლებსაც აღიარებენ სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე მოვალეობად. 1961 წლის ქარტიის შემთხვევაში, ისინი ვალდებულნი არიან, აღიარონ არანაკლებ 10 მუხლი ან 45 დანომრილი პუნქტი, ხოლო გადახედილი ქარტიის შემთხვევაში - არანაკლებ 16 მუხლი და 63 დანომრილი პუნქტი.

შესაბამისად, როდესაც განიხილავენ კომიტეტთან თანამშრომლობის შესაძლებლობას კოლექტიური საჩივრების ან ანგარიშგების პროცედურათა ფარგლებში, (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გადაამოწმონ, ქარტიის რომელ დებულებებს აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა შესაბამისი სახელმწიფოსთვის. ამ მიზნით, მათ უნდა დააზუსტონ, თუ რომელი დებულებებია აღიარებული კონკრეტულ სახელმწიფოში. სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ აღიარებულ დებულებათა ჩამონათვალი ხელმისაწვდომია ქარტიის ვებგვერდზე.

მხარე სახელმწიფოთა მიერ ევროპის სოციალური ქარტიის შესრულებას ზედამხედველობს ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტი. ეს ორგანო შედგება 15 დამოუკიდებელი ექსპერტისგან, რომლებსაც ირჩევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი.

როგორ ხორციელდება ზედამხედველობა ევროპის სოციალური ქარტიის შესრულებაზე?

მხარე სახელმწიფოთა მიერ ევროპის სოციალური ქარტიის შესრულებას ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტი მონიტორინგს უწევს ორი პროცედურის გამოყენებით:

- (1) კოლექტიური საჩივრების პროცედურა; და
- (2) ანგარიშგების პროცედურა.

(საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ, ორივე პროცედურაში შეიტანონ წვლილი, რაც დეტალურად განმარტებულია ქვემოთ.

დამატებითი ინფორმაცია ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტსა და სხვადასხვა პროცედურაზე ხელმისაწვდომია კომიტეტის წესდებაში და ევროპის სოციალური ქარტიის შესაბამის ვებგვერდზე.

ქარტიით გათვალისწინებულ უფლებათა მიმოხილვა

ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია დაიჯესტი, სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია, თუ როგორ განმარტავს ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტი სოციალური ქარტიის სხვადასხვა მუხლს მონიტორინგის ორი პროცედურის გამოყენებით. მისი დანართი შეიცავს კომიტეტის გადაწყვეტილებებს, დასკვნებსა და შესაბამის ამონარიდებს. დოკუმენტში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქარტიით დაცულ უფლებებზე, ასევე, მოლოდინებზე სახელმწიფოთა მიმართ, რომელთაც იკისრეს ამ დებულებათა შესრულების ვალდებულება.

კოლექტიური საჩივრების პროცედურა

რას არის კოლექტიური საჩივრების პროცედურა?

- აღნიშნული პროცედურა დაინერგა დამატებითი ოქმით, რომელიც ითვალისწინებს კოლექტიური საჩივრების სისტემას და მიღებულია 1995 წელს.

- კოლექტიური საჩივრების პროცედურის მიზანია, გაუმჯობესდეს ქარტიით გარანტირებულ სოციალურ უფლებათა აღსრულება და განმტკიცდეს სოციალურ პარტნიორთა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა. კერძოდ, იგი გარკვეულ ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევს, რომ ევროპის სოციალური ქარტიის მხარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ აღძრან საჩივრები ქარტიით გათვალისწინებულ უფლებათა სავარაუდო დარღვევებზე.

- მნიშვნელოვანია, ევროპის სოციალური ქარტიის მხარე სახელმწიფოებმა აღიარონ კოლექტიური საჩივრების პროცედურა, თუმცა მათ ეს არ ევალებათ. დღესდღეობით, საჩივრების პროცედურის სავალდებულო ძალას აღიარებს 15 სახელმწიფო. შესაბამისად, მათ მიმართ შესაძლებელია საჩივრების აღძვრა.

კოლექტიური საჩივრების აღძვრა შესაძლებელია მხოლოდ იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ დამატებითი ოქმი კოლექტიური საჩივრების სისტემის შესახებ (მხოლოდ ხელმოწერა არ კმარა), ან გაკეთებული აქვთ განაცხადი (დეკლარაცია) შესწორებული ქარტიის D მუხლთან დაკავშირებით (ამ ეტაპზე აღნიშნული განაცხადი გაკეთებული აქვთ ბულგარეთსა და სლოვენიას). განაცხადებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია კოლექტიური საჩივრების სისტემის შესახებ დამატებითი ოქმის ხელმოწერებისა და რატიფიკაციების ცხრილში, კერძოდ, შენიშვნების ნაწილში.

რომელ ორგანიზაციებს შეუძლიათ საჩივრებისწარდგენა ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტში?

დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის თანახმად, ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტში საჩივრის წარდგენის უფლება აქვთ მხოლოდ გარკვეულ ორგანიზაციებს, თუკი მიიჩნევენ, რომ ევროპის სოციალური ქარტიის (და დამატებითი ოქმის) მხარე სახელმწიფომ ვერ შეძლო ქარტიის სათანადოდ შესრულება. ესენია:

- დამსაქმებელთა და პროფკავშირების საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის: ევროპის პროფკავშირთა კონფედერაცია (ETUC) (დასაქმებულთა სახელით); და ევროპის მრეწველთა კონფედერაცია (Business Europe) და დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (დამსაქმებელთა სახელით);
- გარკვეული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ფლობენ მონაწილის სტატუსს ევროპის საბჭოში და არიან საჩივრის წარდგენის უფლების მქონე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა სიაში. ინფორმაცია, რომელიც შეეხება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ სოციალურ უფლებათა კომიტეტში საჩივრის წარდგენის უფლებასა და შესაბამის პირობებს, ასევე, უფლების განახლებასა და მოთხოვნას, ხელმისაწვდომია ევროპის სოციალური ქარტიისა და ევროპის საბჭოს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა კონფერენციის ვებსაიტებზე;
- შესაბამის ქვეყანაში მოქმედი ადგილობრივი დამსაქმებელთა ორგანიზაციები და პროფკავშირები.

როგორ წარადგენს (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაცია საჩივარს კომიტეტში?

დასაშვებად ცნობისთვის, კოლექტიური საჩივარი უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა კრიტერიუმს, რომლებიც წარმოდგენილია თავად დამატებით ოქმსა და ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტის წესდებაში; ამ კრიტერიუმებს განმარტავს ინდივიდუალური გადაწყვეტილებები დასაშვებობის შესახებ. კერძოდ:

- ორგანიზაციამ საჩივარი უნდა შეიტანოს წერილობით;
- საჩივარი უნდა გაიგზავნოს სოციალურ უფლებათა კომიტეტის აღმასრულებელი სამდივნოს სახელზე (რომელიც ასრულებს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოვალეობას), შემდეგ მისამართზე: Department of Social Rights, Directorate General Human Rights and Rule of Law, Council of Europe, Agora building, 1 quai Jacoutot, F-67075 Strasbourg Cedex, France; ელფოსტა: social.charter@coe.int;
- საჩივარში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული მომჩივანი ორგანიზაციის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია;
- საჩივარს ხელს უნდა აწერდეს პირი, რომელსაც აქვს მომჩივანი ორგანიზაციის წარმომადგენლობის უფლებამოსილება. მასში უნდა ჩანდეს, რომ პირი, რომელიც წარადგენს და ხელს აწერს საჩივარს, უფლებამოსილი წარმომადგენელია;
- საჩივარი უნდა აჩვენებდეს, რომ მომჩივან ორგანიზაციას აქვს საჩივრის წარდგენის უფლება, კოლექტიური საჩივრების პროცედურის ფარგლებში (დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. თავი „რომელ ორგანიზაციებს შეუძლიათ საჩივრის წარდგენა ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტში?“);
- თუ საჩივარს წარადგენს საერთაშორისო ორგანო, ის უნდა მომზადდეს ევროპის საბჭოს რომელიმე ოფიციალურ ენაზე (ინგლისურად ან ფრანგულად);
- თუ საჩივარს წარადგენს ეროვნული ორგანიზაცია, ის უნდა მომზადდეს შესაბამისი მხარე სახელმწიფოს (ერთ-ერთ) ოფიციალურ ენაზე;
- საჩივარი უნდა ეხებოდეს ევროპის სოციალური ქარტიის მხარე სახელმწიფოს, რომლის მიმართაც მოქმედებს კოლექტიური საჩივრების პროცედურა (იხ. თავები: „ორი ხელშეკრულება“ და „რა არის კოლექტიური საჩივრების პროცედურა?“);

- საჩივარი უნდა ეხებოდეს ქარტიის ერთ ან მეტ დებულებას, რომლებსაც აღიარებს შესაბამისი მხარე სახელმწიფო (იხ. თავი „სახელმწიფოზე მორგებული სისტემა“);
- საჩივარი უნდა მიუთითებდეს, თუ რა კუთხით ვერ შეძლო შესაბამისმა მხარე სახელმწიფომ დებულების სათანადოდ გამოყენება (ასევე, შეიცავდეს მტკიცებულებებს, შესაბამის არგუმენტებსა და დამხმარე დოკუმენტაციას).

როგორ მუშაობს კოლექტიური საჩივრების პროცედურა?

დასაშვებობა

ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტი განიხილავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხს და გამოსცემს გადაწყვეტილებას საჩივრის დასაშვებობაზე.

სამართალწარმოება

თუ ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტი საჩივარს დასაშვებად გამოაცხადებს, იგი შესაბამის სახელმწიფოს შესთავაზებს წერილობითი პოზიციის წარმოდგენას საჩივრის არსებით მხარეზე, ხოლო მომჩივან ორგანიზაციას შესთავაზებს, რომ უპასუხოს წარმოდგენილ პოზიციას. შემდგომ, რომელიმე მხარის მოთხოვნით ან ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტის ინიციატივით, შესაძლოა, გაიმართოს საჯარო მოსმენა.

არსებითი გარემოებები

ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტი განიხილავს სამართალწარმოების პროცესში წარმოდგენილ ყველა არგუმენტსა და მტკიცებულებას და იღებს გადაწყვეტილებას საქმის არსებით გარემოებებზე. ეს გადაწყვეტილება ადგენს, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობა და/ან პრაქტიკა ევროპის სოციალურ ქარტიას.

შემდგომი ღონისძიებები

ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილებას პატივი უნდა სცეს შესაბამისმა სახელმწიფომ. შემდგომ ღონისძიებებს ზედამხედველობს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, რომელმაც შეიძლება მიიღოს რეზოლუცია, ან გამოსცეს რეკომენდაცია შესაბამისი სახელმწიფოსთვის. თუმცა, მინისტრთა კომიტეტს არ შეუძლია ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტის სამართლებრივი შეფასების გაუქმება.

ანგარიშგება შემდგომ ღონისძიებებზე

▬ თუ ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტი საჩივრის არსებით გარემოებებზე მიღებულ გადაწყვეტილებაში დაადგენს ევროპის სოციალური ქარტიის დარღვევას, შესაბამისი სახელმწიფო ვალდებულია, წარმოადგინოს ინფორმაცია გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიღებულ ზომებზე. სახელმწიფომ ეს ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს ანგარიშებში შემდგომი ღონისძიებების შესახებ („გამარტივებული ანგარიშები“), რაც ანგარიშგების პროცედურის ნაწილია (იხ. თავი: „როგორ წარადგენს (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაცია დამატებით ინფორმაციას?“). ამის საფუძველზე, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი დაადგენს, რამდენად მოარგო სახელმწიფომ სიტუაცია ევროპის სოციალურ ქარტიას და გამოაქვეყნებს შესაბამის მიგნებებს.

გადაუდებელი ღონისძიებები

▬ სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა შესაძლოა სახელმწიფოს მიუთითოს იმ აუცილებელ ღონისძიებებზე, რომელთა გატარებითაც აიცილებს ქარტიით აღიარებულ უფლებათა მძიმე დაზიანებას. ასეთ ღონისძიებებზე კომიტეტმა შეიძლება მიუთითოს საკუთარი ინიციატივით, ან მომჩივანი ორგანიზაციის თხოვნის საფუძველზე.

▬ თუ მომჩივანი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელ ღონისძიებებს, მან უნდა დააკონკრეტოს ეს ზომები, ასევე, განმარტოს, თუ რატომ ითხოვს მათ და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს კომიტეტის უარს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

როგორ წარადგენს ორგანიზაცია საკუთარ მოსაზრებებს სხვა ორგანიზაციის მიერ აღძრულ კოლექტიურ საჩივარზე?

▬ ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტის წესდების 32-ე და 32A მუხლების შესაბამისად, მესამე მხარეებს შეუძლიათ ჩარევა სხვა ორგანიზაციათა საჩივრებზე მიმდინარე სამართალწარმოებაში.

- 32-ე წესის თანახმად, ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტი დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პროფკავშირებს სთავაზობს, მესამე მხარის სახით წარმოადგინონ მოსაზრებები დამსაქმებელთა ეროვნული ორგანიზაციების, პროფკავშირებისა ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ აღძრულ საჩივრებზე. კერძოდ, კომიტეტმა ეს შეიძლება შესთავაზოს შემდეგ ორგანიზაციებს:

ევროპის პროფკავშირთა კონფედერაცია (ETUC) (დასაქმებულთა სახელით); და ევროპის მრეწველთა კონფედერაცია (Business Europe) და დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (OIE) (დამსაქმებელთა სახელით). მათი მოსაზრებები გადაეცემა მოპასუხე სახელმწიფოსა და მომჩივან ორგანიზაციას;

- სახელმწიფოებს, რომლებიც აღიარებენ კოლექტიური საჩივრების პროცედურას და აღძრული საჩივარი არ შეეხებათ, ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტი ასევე შესთავაზებს, რომ თავიანთი მოსაზრებები წარმოადგინონ, როგორც მესამე მხარეებმა;
- ამასთან, 32A წესის თანახმად, ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტს უფლება აქვს, თუკი საჭიროდ მიიჩნევს, ნებისმიერ ორგანიზაციას, დაწესებულებას ან პირს შესთავაზოს მოსაზრებათა წარმოდგენა მესამე მხარის სახით. ეს მოსაზრებები გადაეცემა მოპასუხე სახელმწიფოსა და მომჩივან ორგანიზაციას.

▬ პრაქტიკაში, შესაძლოა (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციამაც შეატყობინოს კომიტეტს, რომ სურს მოსაზრებების წარმოდგენა მიმდინარე კოლექტიურ საჩივარზე. ამ მიზნით, (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაცია ევროპის სოციალური ქარტიის სამდივნოს უკავშირდება ფოსტით ან ელფოსტით, ზემოთ მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის გამოყენებით.

სად ინახება ინფორმაცია წინა კოლექტიურ საჩივრებზე?

▬ ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტის პრეცედენტული სამართალი ხელმისაწვდომია ევროპის სოციალური ქარტიის HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში.

▬ HUDOC-ის მონაცემთა ბაზა მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, რომ მისი ინტერესის შესაბამისად მოიძიოს კონკრეტული ტიპის დოკუმენტები კოლექტიურ საჩივრებზე (მაგ: გადაწყვეტილებები დასაშვებობასა ან საქმის არსებით გარემოებებზე, გადაუდებელ ღონისძიებათა მოთხოვნა, გადაწყვეტილებები საჩივრის ამორიცხვაზე განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, ან ინფორმაცია შემდგომი ღონისძიებების შესახებ). მკითხველს შეუძლია საჭირო ინფორმაციის მოძიება წარსულ კოლექტიურ საჩივრებზეც, კონკრეტული ვიწრო პარამეტრების გამოყენებით და საკუთარი ინტერესის სფეროს შესაბამისად (მაგ: ევროპის სოციალური ქარტიის კონკრეტული დებულებები; სახელმწიფოები ან მომჩივანი ორგანიზაციები, რომლებსაც შეეხება კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება).

გარდა ამისა, ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებულ საჩივრებზე. ეს მასალა მოიცავს ყველა დოკუმენტს, რომლებიც წარმოდგენილია საჩივართან დაკავშირებული წარმოების ფარგლებში (მაგ: შეტანილი საჩივარი; მხარეთა ან მესამე მხარის მოსაზრებები, არგუმენტები და საპასუხო არგუმენტები; ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტის მიერ მიღებული საბოლოო შედეგი საჩივართან მიმართებით).

დამატებითი ინფორმაცია კოლექტიური საჩივრების პროცედურაზე ხელმისაწვდომია ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტის წესდებაში (იხ. ნაწილი VIII, წესები 23-40) და ევროპის საბჭოს შესაბამის ვებგვერდზე.

ევროპის სოციალური ქარტიის ანგარიშგების პროცედურა

რა არის ანგარიშგების პროცედურა?

ეს პროცედურა დაინერგა 1961 წლის ქარტიით (იხ. ნაწილი IV), შესწორებები კი მასში შევიდა 1991 წელს მიღებული ტურინის ოქმის საფუძველზე.

ანგარიშგების პროცედურის მიზანია, გაუმჯობესდეს ევროპის სოციალური ქარტიით გარანტირებული უფლებებით სარგებლობა და ხელი შეეწყოს რეგულარულ დიალოგს მხარე სახელმწიფოებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან. კერძოდ, ამ პროცედურის ფარგლებში, სახელმწიფოები რეგულარულ ანგარიშებს წარადგენენ ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელებაზე, ხოლო კონკრეტულ ორგანიზაციებს აქვთ დამატებითი კომენტარებისა და ინფორმაციის წარდგენის უფლება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ევროპის სოციალური ქარტიის განხორციელებაზე რეგულარული ანგარიშების წარდგენა ევალებათ როგორც შესწორებული ვერსიის, ისე 1961 წლის ქარტიის მხარე სახელმწიფოებს. ამავდროულად, რომელი უფლებებით სარგებლობაზე მოამზადებენ სახელმწიფოები ანგარიშებს, დამოკიდებულია იმაზე, ქარტიის რომელი ვერსია აქვთ მათ რატიფიცირებული (იხ. თავი „ორი ხელშეკრულება“) და რომელ დებულებებს აღიარებენ (იხ. თავი „სახელმწიფოზე მორგებული სისტემა“). სახელმწიფოთა მიერ აღიარებულ დებულებათა განახლებული ცხრილი ხელმისაწვდომია ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე.

როგორ წარადგენს (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაცია დამატებით ინფორმაციას?

1961 წლის ქარტიის 23(1) და 27(2) მუხლების თანახმად, რომლებიც შესწორდა ტურინის ოქმით, გარკვეულ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს წარუდგინონ კომენტარები და ინფორმაცია, ეროვნულ ანგარიშებთან ერთად.

- საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ ევროპის საბჭოში მონაწილის სტატუსი და გარკვეული კომპეტენცია ქარტიით რეგულირებულ საკითხებზე, ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტის ხანგრძლივი პრაქტიკისა და წესდების 21A წესის თანახმად, უფლება აქვთ, წარადგინონ კომენტარები ეროვნული ანგარიშების შესახებ. ამ კომენტარების გათვალისწინება სრულად სოციალურ უფლებათა კომიტეტის დისკრეციული უფლებამოსილებაა;
- ეს უფლება აქვს დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პროფკავშირთა ასოციაციების ნაწილსაც, როგორიცაა: ევროპის პროფკავშირთა ფედერაციის (ETUC) ადგილობრივი აფილირებული წევრები (დასაქმებულთა სახელით); ევროპის მრეწველთა კონფედერაციისა (Business Europe) და დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციის (OIE) ადგილობრივი წევრები (დამსაქმებელთა სახელით). გაითვალისწინეთ, რომ ევროპის სოციალური ქარტიის წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, თავიანთი ეროვნული ანგარიშის ასლი გაუგზავნონ ამ ორგანიზაციათა ადგილობრივ წევრებს.

კომენტარები ეროვნულ ანგარიშებზე უნდა წარედგინოს ევროპის სოციალური ქარტიის სამდივნოს, იმ წლის 30 აპრილამდე, რომლის განმავლობაშიც ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტი განიხილავს შესაბამის ეროვნულ ანგარიშს (იხ. ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტის წესდება, მუხლი 21A). ეს ვადა სახელმწიფოებს შესაძლებლობას აძლევს, სურვილის შემთხვევაში, უპასუხონ კომენტარებს.

როგორ წარიმართება ანგარიშგების პროცესი?

სახელმწიფოს ანგარიშების წარდგენა

ყოველ წელს ქარტიის მხარე სახელმწიფოები წარადგენენ ანგარიშებს ოთხი თემატური ჯგუფიდან ერთ-ერთზე. წარდგენის ბოლო ვადაა 31 ოქტომბერი. ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე ხელმისაწვდომია სახელმძღვანელო სახელმწიფოთა მიერ ეროვნული ანგარიშების მომზადებაზე.

ანგარიშგების განრიგი

მინისტრთა კომიტეტის 2006 წლის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, ანგარიშგების პროცედურის მიზნებისთვის, ევროპის სოციალური ქარტიის დებულებები ოთხ თემატურ ჯგუფად დაიყო. წევრი სახელმწიფოები ანგარიშს წარადგენენ ამ თემატური ჯგუფებიდან ერთ-ერთზე. შედეგად, სახელმწიფოები ქარტიის თითოეულ აღიარებულ დებულებაზე ანგარიშს ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ წარადგენენ.

ეს თემატური ჯგუფებია:

- ჯგუფი 1: დასაქმება, პროფესიული მომზადება და თანაბარი შესაძლებლობები (მუხლები 1 – 9 – 15 – 18 – 20 – 24 – 25);
- ჯგუფი 2: ჯანმრთელობა, სოციალური უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა (მუხლები 3 – 11 – 12 – 13 – 14 – 23 – 30);
- ჯგუფი 3: შრომითი უფლებები (მუხლები 2 – 4 – 5 – 6 – 21 – 22 – 26 – 28 – 29);
- ჯგუფი 4: ბავშვები, ოჯახები, მიგრანტები (მუხლები 7 – 8 – 16 – 17 – 19 – 27).

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2014 წლის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, ყველა სახელმწიფო, რომელიც აღიარებს კოლექტიური საჩივრების პროცედურას, ვალდებულია, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ წარადგინოს გამარტივებული ანგარიში; წარდგენის დრო დამოკიდებულია ჯგუფზე, რომელსაც განეკუთვნება ქვეყანა.

- ჯგუფი A: საფრანგეთი, საბერძნეთი, პორტუგალია, იტალია, ბელგია, ბულგარეთი, ირლანდია, ფინეთი;
- ჯგუფი B: ნიდერლანდები, შვედეთი, ხორვატია, ნორვეგია, სლოვენია, კვიპროსი, ჩეხეთის რესპუბლიკა.

გამარტივებული ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მხოლოდ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც გატარდა კოლექტიურ საჩივრებზე კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებით. გამარტივებული ანგარიშის წარდგენისას, სახელმწიფოებს აღარ მოეთხოვებათ ანგარიშგება თემატური ჯგუფის დებულებებზე. (საერთაშორისო) არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ გამარტივებულ ანგარიშებზე კომენტარების წარდგენის უფლება. ამ შემთხვევაშიც, მოქმედებს პირობები, რომლებიც დაწესებულია თემატურ ჯგუფებზე წარდგენილ ჩვეულებრივ ანგარიშებთან მიმართებით (იხ. წესი 21A ზემოთ).

ჩვეულებრივი და გამარტივებული ანგარიშებისთვის განსაზღვრული განრიგი შეგიძლიათ იხილოთ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2014 წლის გადაწყვეტილებაში (დოკუმენტის ნომერი: CM(2014)26, ნაწილი II, პუნქტი 8), რომელიც ხელმისაწვდომია ინტერნეტში.

შეხვედრები

ანგარიშის დეტალურად განსახილველად, სოციალურ უფლებათა ევროპულმა კომიტეტმა შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფოს წარმომადგენელთან შეხვედრის ორგანიზებაზე (საკუთარი ინიციატივით, ან შესაბამისი სახელმწიფოს მოთხოვნის საფუძველზე). დამსაქმებელთა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პროფკავშირებს, რომელთაც აქვთ ეროვნულ ანგარიშებზე კომენტარების წარდგენის უფლება, ზოგჯერ სთავაზობენ ასეთ შეხვედრებში მონაწილეობას. მათ შეუძლიათ, ინფორმაცია მიაწოდონ თავიანთ წევრებს (ადგილობრივ ორგანიზაციებს). შეხვედრაში მონაწილეობა შესაძლოა შესთავაზონ ადგილობრივ დამსაქმებელთა ორგანიზაციებსა და პროფკავშირებსაც, თუ შესაბამისი სახელმწიფო ამაზე თანხმობას განაცხადებს.

დასკვნები

ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტი განიხილავს ანგარიშგების პროცედურის ფარგლებში წარმოდგენილ ყველა ანგარიშსა და კომენტარს, ასევე, შეხვედრებზე მიღებულ ინფორმაციას. წლის ბოლოს კომიტეტი იღებს დასკვნებს თითოეული სახელმწიფოს მიერ ევროპის სოციალური ქარტიის შესრულებაზე.

შემდგომი ღონისძიებები

შესაბამისმა სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტის დასკვნებს. შემდგომ მათ ზედამხედველობს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, ზედამხედველობის პროცედურის ფარგლებში (იხ. ქვემოთ).

თუ ევროპის სოციალურ უფლებათა კომიტეტი თავის დასკვნებში დაადგენს ევროპის სოციალურ ქარტიასთან შეუსაბამობას, შესაბამისმა სახელმწიფომ მომდევნო ეროვნული ანგარიშის წარდგენისას უნდა მოამზადოს ინფორმაცია იმ ღონისძიებებზე, რომლებიც სახელმწიფომ გაატარა კომიტეტის დასკვნებზე რეაგირებისთვის. ამ კუთხით, ზედამხედველობას გაწევს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, მას შემდეგ, რაც სამთავრობო კომიტეტი (რომლის წევრებიც არიან ქარტიის მხარე სახელმწიფოთა წარმომადგენლები, ასევე, დამკვირვებლები ევროპის პროფკავშირთა და დამსაქმებელთა ორგანიზაციებიდან) მოამზადებს წინადადებებს.

მინისტრთა კომიტეტს უფლება აქვს, მიიღოს რეზოლუცია, ან შესაბამისი სახელმწიფოსთვის გამოსცეს რეკომენდაცია სამთავრობო კომიტეტის წინადადებათა საფუძველზე (თუმცა, ამ უფლებით ყოველთვის არ სარგებლობს); ასევე, სახელმწიფოს სთხოვოს არსებულ კანონმდებლობასა და/ან პრაქტიკაში ცვლილებების შეტანა, თუკი სახელმწიფო ვერ შეძლებს შექმნილი ვითარების გამოსწორებას.

- დამატებითი ინფორმაცია ანგარიშგების პროცედურებსა და დასკვნების შესაბამისად გატარებულ შემდგომ ღონისძიებებზე ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ვებგვერდზე.

სად ინახება ანგარიშგებასთან დაკავშირებული დოკუმენტები?

- კომიტეტის იურისპრუდენცია, მათ შორის, დასკვნები ანგარიშგების პროცედურებზე, ხელმისაწვდომია ევროპის სოციალური ქარტიის HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში.

- HUDOC-ის მონაცემთა ბაზა მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს, რომ საკუთარი ინტერესის შესაბამისად მოიძიოს კონკრეტული ტიპის დოკუმენტები ანგარიშგების პროცედურაზე (მაგ: დასკვნები, განცხადებები განმარტების შესახებ, ცალკეული მოსაზრებები, ან ინფორმაცია დასკვნების შემდგომ გატარებულ ღონისძიებებზე). მკითხველს შეუძლია, მოიძიოს წინა ანგარიშგებასთან დაკავშირებული ინფორმაციაც, ვიწრო პარამეტრების გამოყენებით და თავისი ინტერესების მიხედვით (მაგ: ევროპის სოციალური ქარტიის კონკრეტული დებულებები, ასევე, დასკვნები შეუსაბამობასა ან შესაბამისობაზე).

- წინა ეროვნული ანგარიშები და ინფორმაცია (მათ შორის, წარდგენილი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ) ხელმისაწვდომია ევროპის სოციალური ქარტიის ვებგვერდზე.

დამატებითი ინფორმაცია ანგარიშგების პროცედურაზე ხელმისაწვდომია სოციალურ უფლებათა ევროპის კომიტეტის წესდებაში (იხ. ნაწილი VII, წესები 19-22),ან ევროპის საბჭოს ვებგვერდზე.

ევროპის სოციალური ქარტია მიღებულია 1961 წელს და შესწორდა 1996 წელს. ეს არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის „პარტნიორი“ ხელშეკრულება ეკონომიკურ და სოციალურ უფლებათა სფეროში. ქარტიით გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრი, რომლებიც უკავშირდება დასაქმებას, დაბინავებას, ჯანმრთელობას, განათლებას, სოციალურ დაცვასა და კეთილდღეობას.

პანევროპულ დონეზე არცერთი სამართლებრივი ინსტრუმენტი არ იცავს სოციალურ უფლებებს ისე ფართოდ და სრულფასოვნად, როგორც ქარტია.

შესაბამისად, იგი აღიქმება ევროპის სოციალურ კონსტიტუციად და ევროპის კონტინენტზე ადამიანის უფლებათა არქიტექტურის განუყოფელი ნაწილია.

www.coe.int/socialcharter

@social_charter

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა კონტინეტზე. იგი შედგება 46 სახელმწიფოსგან, ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის ჩათვლით. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ხელშეკრულებას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის შესრულებას ზედამხედველობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

European Social Charter | Charte sociale européenne

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE